საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>ლევან გზირიშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა აბუსერიძე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ბ-ნო ნიკოლოზ,

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ლევან გზირიშვილის მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატ გოჩა აბუსერიძესთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად კანდიდატის - <u>გოჩა აბუსერიძის,</u> შერჩევის დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე განხორციელდა კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შეფასდა კანიდატის - <u>გოჩა აბუსერიძის,</u> კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან შესაბამისობა შეფასდა ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, კერძოდ, *პიროვნული კეთილსიდნისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.* მოძიებული ინფორმაციის შესწავლისა და კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე მივიჩნიე, რომ <u>გოჩა აბუსერიძე</u> <u>სრულად აკმაყოფილებს</u> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით <u>გოჩა აბუსერიძე</u> შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36[3] მუხლით დადგენილი მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, *სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.* კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის, მოძიებული ინფორმაციის

გაანალიზებისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე გოჩა აბუსერიძეს მივანიჭე ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლისათვის განსაზღვრული სათანადო ქულა (ჯამში 96 ქულა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გოჩა აბუსერიძეს აქვს სათანადო პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია, ამასთან, ის ხასიათდება მოსამართლის მაღალი წოდების შესაფერისი ქცევით, ასევე პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ გოჩა აბუსერიძე სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას, რის გამოც მხარი დავუჭირე კანდიდატის წარდგენას საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ლევან გზირიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

17 ივნისი 2021 წელი